სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/584 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

დამტკიცდეს თანდართული „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესი“.

მიხეილ ხმალაძე

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ეს წესი შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების შესაბამისად და განსაზღვრავს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში (შემდეგომ – სააგენტოში) ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების და კანდიდატის შერჩევის მიზნით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოვლენის წესს.

2. სააგენტოს საკონკურსო კომისია (შემდგომ – კომისია) იქმნება და საქმიანობს აღნიშნული წესის საფუძველზე.

მუხლი 2. კონკურსისა განხორციელების პრინციპები

სააგენტოში კონკურსის განხორციელების პრინციპებია:

ა) ობიექტურობა;

ბ) გამჭვირვალობა;

გ) საჯაროობა;

დ) არადისკრიმინაციულობა;

ე) კოლეგიურობა;

ვ) კორექტულობა.

მუხლი 3. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია სააგენტოს ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

2. კონკურსის ამოცანებია კანდიდატის პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების, დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

თავი II. საკონკურსო კომისია

მუხლი 4. კომისიის ფუნქციები

კომისიის ფუნქციებია:

ა) კნდიდატის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და პირადი შესაძლებლობების შეფასების პროცედურის წარმართვა;

ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა.

მუხლი 5. კომისიის შემადგენლობა და დანიშვნის წესი

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას

განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრები და სააგენტოს კადრების სპეციალისტი – კომისიის მდივანი.

3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მონაწილეობდნენ მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის თავმჯდომარეს სააგენტოს ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

2. კომისიის თავმჯდომარედ, ინიშნება სააგენტოს ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

3. საკონკურსო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობის შექმნის შემთხვევაში მის თავმჯდომარეს ნიშნავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის თავმჯდომარე:

ა) განსაზღვრავს კომისიის წევრთა შემადგენლობას და ნიშნავს კომისიის წევრებს;

ბ) წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

გ) კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში;

დ) უფლებამოსილია შექმნას კომისიის სამდივნო;

ე) ქმნის კომისიის სპეციალიზებულ შემადგენლობას.

მუხლი 7. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა

1. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული პრინციპის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია შექმნას კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ამ დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

2. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობით დაკომპლექტების შემთხვევაში სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, კომისიის მდივანს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 8. კომისიის რეგლამენტი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე, დამსწრე წევრები და კომისიის მდივანი.

5. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.

მუხლი 9. კომისიის სამდივნო

1. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია შექმნას კომისიის სამდივნო (შემდგომ – სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.

2. სამდივნოს უფროსს ნიშნავს და სამდივნოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

3. სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის გამართვისთვის საჭირო ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის:

ა) იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენელთან ერთად, სადაც გამოცხადებულია კონკურსი, ახდენს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე წარმოდგენილი განცხადებებიდან დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას;

ბ) გონივრულ ვადაში იმ კანდიდატთა სიის მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს და კომისიისათვის წარდგენას .

გ) კანდიდატთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას.

4. კონკურსის დამთავრებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას.

თავი III. კონკურსი

მუხლი 10.კონკურსის გამოცხადება

1. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად სააგენტო კონკურსს აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

2. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან.

3. კონკურსის გამოცხადების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებს სააგენტო.

4. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სააგენტოში კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელებებს;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს;

გ) შესასრულებელ სამუშაოს;

დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;

ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადას;

ვ) საკონკურსო კომისიის მისამართს.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა ტარდება კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს 10 დღისა.

მუხლი 11. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კანდიდატს

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კანდიდატთა ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით.

მუხლი 12. კონკურსისთვის წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა საწყის ეტაპზე უნდა წარადგინოს განცხადება და კანდიდატის Curriculum Vitae (CV);

3. კანდიდატმა, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, სააგენტოში დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

ბ) ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4)+CD;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

მუხლი 13. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1.კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) წერითი დავალება ან/და სხვადასხვა სახის ტესტირება;

ბ) გასაუბრება.

2. კონკურსის პროგრამას, ფორმებს, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია სააგენტოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. წერითი დავალებისა და ტესტირების თემატიკასა და პროგრამას თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია სააგენტოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4. წერითი დავალებისა და ტესტირებისას დადებითი შეფასების მისაღებად კონკურსანტმა უნდა დააგროვოს კომისიის მიერ დადგენილ ქულათა რაოდენობა.

5. კონკურსანტების მიერ ქულათა თანაბარი რაოდენობით დაგროვების ან/და იმ შემთხვევაში, თუკი რამდენიმე კონკურსანტმა დააგროვა კომისიის მიერ დადგენილ ქულათა რაოდენობა, ტარდება გასაუბრება.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, კონკურსის ჩატარების პროცედურამდე 1 კვირით ადრე მაინც.

მუხლი 14. კანდიდატურების განხილვა და კონკურსის შედეგები:

1. კომისია საკონკურსო ეტაპის/ეტაპების დასრულების შემდეგ კანდიდატების დაუსწრებლად განიხილავს დასაკავებელ თანამდებობასთან თითოეული კანდიდატის შესაბამისობის საკითხს.

2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

3. კომისიის მიერ კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

4. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს, ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

5. კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო თანამდებობაზე დამნიშვნელ პირს – კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული კანდიდატი ინიშნება თანამდებობაზე, თუ იგი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში თანამდებობაზე მისი დანიშვნის უფლების მქონე პირს წარუდგენს ამ წესის მე–12 მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

მუხლი 15. ჩაშლილი კონკურსი

თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად.

თავი IV. დავის გადაწყვეტა

მუხლი 16. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, კონკურსის ჩატარებისათვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს სააგენტოს დირექტორი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, მოწვეულები), საპრეტენზიო კომისიის მდივანი. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს საპრეტენზიო კომისიის მდივანი და ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე, დამსწრე კომისიის წევრები და კომისიის მდივანი.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტეზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 3 დღეში, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დგება ოქმი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-სატესტაციო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 17. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსის ან ატესტაციის პროცესთან ან შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.